მამაკაცის დეკრეტული შვებულების პრაქტიკა და გამოცდილება საქართველოში

ნათია გაგილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია გაგილაძე

25.06.2021

აბსტრაქტი:

როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში ძალიან აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მშობლის შვებულება ანუ ე.წ. დეკრეტული შვებულება. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს კაცის დეკრეტულ შვებულებასთან.

გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოში არსებული პრაქტიკა მშობლის შვებულებასთან დაკავშირებით განსხვავებულია, საქართველოშიც ამ მხრივ განსხვავებული საკითხები და პრობლემები იკვეთება. შვებულების საკითხი ხშირად წარმოშობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა გენდერული დისკრიმინაცია, ოჯახებში შრომის არათანაბარი გადანაწილება და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საერთაშორისო სტანდარტები და ევროპის რამდენიმე ქვეყნის (გერმანიის, ნორვეგიისა და უკრაინის) მაგალითი. ასევე ნაშრომში განიხილება საქართველოს კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ არეგულირებს მშობლის შვებულების საკითხს. ყურადღება გამახვილებული იქნება კანონის იმ ხარვეზებზე, რომელიც იწვევს კაცის მიერ მშობლის შვებულებით სარგებლობის გართულებას. საუბარი იქნება ასევე ქვეყანაში არსებულ სტერეოტიპებზე და იმ დადებით მხარეებზე, რაც კაცის დეკრეტულ შვებულებას თან ახლავს.

კვლევაში გამოყენებულია სამაგიდო, ასევე თვისებრივი მეთოდი. კონკრეტულად გამოყენებული მაქვს სიღრმისეული ინტერვიუ. არსებული მასალებისა და ინტერვიუების ანალიზის საშუალებით განხილულია საქართველოში კაცის დეკრეტული შვებულების იშვიათობის გამომწვევი მიზეზები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში კაცის დეკრეტული შვებულების იშვიათობის გამომწვევი მიზეზი, ქვეყანაში არსებული სტერეოტიპების გარდა, არის ამ საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ასევე კვლევით დადგინდა ისიც, რომ კაცის დეკრეტულ შვებულებაში გასვლის მთავარი გადამწყვეტი მიზეზი არის არა მხოლოდ გენდერული, არამედ ფინანსური ფაქტორი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კაცის დეკრეტული შვებულება, სტერეოტიპები, გენდერი, კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტი.

Abstract:

As in the world, in Georgia, parental leave is a very topical issue, so-called maternity leave. This topic becomes especially relevant when it's about to man's maternity leave.

Due to the fact that the existing practice in the world regarding parental leave is different, there are some different issues and problems in Georgia in this regard. The issue of leave often raises important issues such as gender discrimination, unequal distribution of labor in families, and so on.

The master's thesis discusses international standards and the example of several European countries (Germany, Norway and Ukraine). The master's thesis also discusses the part of Georgian legislation that directly regulates the issue of parental leave. The focus will be on the deficiencies of the law that make it difficult for a man to use his parental leave. The stereotypes in the country and the positive aspects that accompany a man's maternity leave will also be discussed.

The research is qualitative, the analysis of the available materials and interviews discusses what causes the rarity of men's maternity leave in Georgia.

The study found that the reason for the rarity of men's maternity leave in Georgia is the stereotypes and regulatory legislation in the country. Research has also shown that the main reason for a man to go on maternity leave is a financial factor and not a gender one.

Key words: man maternity leave, stereotypes, gender, legislation, international standard.

მადლობა

უდიდეს მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს, ნინო რჩეულიშვილს კვლევის განმავლობაში გაწეული დახმარებისთვის, სასარგებლო და ძალიან მნიშვნელოვანი რჩევებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა რესპონდენტს და იმ ადამიანს, რომლებმაც გამონახა დრო, გამოთქვა ჩემი დახმარების სურვილი და თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ჩემი ნაშრომის ჩამოყალიბებაში.